



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „ელექტრული ინჟინერია“

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 11.06.2021-12.06.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 24.06.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ელექტრული ინჟინერია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში Bachelor - Electrical and Electronic Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე-არაკლასიფიცირებული Engineering and Engineering Trades-not elsewhere classified
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული № 34, 16.09.2011

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა კვიციანი სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სიმონ ნემსაძე სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია შპს- ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლამა ლალიაშვილი სსიპ-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „ელექტრული ინჟინერია“ წარმოადგენს არსებული პროგრამის „ელექტრული ინჟინერია“ (რომელიც აკრედიტებული იყო 2011 წელს) ახალი საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით განახლებულ პროგრამას. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, ხოლო ხანგრძლივობა - 8 სემესტრი. საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის მიერ.

საბაკალავრო პროგრამა „ელექტრული ინჟინერია“ მიზნად ისახავს მოამზადოს ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი. პროგრამა უზრუნველყოფს, ელექტრობის, ელექტრონიკისა და ელექტრომაგნეტიზმის ფუნდამენტური შესწავლის საფუძველზე, ზოგადი განათლების სპეციალისტების მომზადებასა და შესაბამისი უნარების განვითარებას საქმიანობის ისეთი ფართო სფეროებისათვის, როგორცაა ელექტროენერგეტიკის, ელექტრული და ელექტრონული ტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის სფეროები. კერძოდ, წარმოადგენილი პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ შეასრულონ ელექტროენერგეტიკული, ტელესაკომუნიკაციო სისტემებისა და ტექნიკური აღჭურვილობის, ბიოსამედიცინო ტექნიკისა და სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, ექსპლუატაცია და მართვა.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 11-12 ივნისს. ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის შენობა, სადაც ხორციელდება პროგრამა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სხვა ინფრასტრუქტურა. შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეხუთე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- მწყობრში მოვიდეს ლაბორატორიები ბიოსამედიცინო ელექტრონიკის და ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მიმართულებით.
- რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი წლების განმავლობაში უწყვეტად ხორციელდებოდეს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდანაც შემაჯამებელი წლიური ანგარიშები ყოველწლიურად იქნას წარმოდგენილი.
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდებულია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მეოთხე კონცენტრაციის “ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოები” სტუდენტების და პერსონალის უფრო მეტი ჩართულობა „ინტეგრავის“(INTEGRAF) მიერ მოწყობილ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.
- საქართველოს ბაზარზე უცხოელი ინვესტორების აქტიურობის გამო სასურველია დამხმარე ლიტერატურაში მიეთითოს სტუდენტებს ინგლისურენოვანი ანალოგი.
- სტუდენტთა მეტი ჩართულობა საერთაშორისო და გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიურ პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
- სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სიღრმისეული ანალიზის წარმოება და მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, ერთიანი რეაგირების ანგარიშის წარმოდგენის გზით
- სასურველია მოხდეს ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის არეალის გაფართოება
- სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა
- სასურველია ინსტიტუციაში დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ „ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის“ დეპარტამენტში 2020 წელს შეიქმნა სასწავლო კლასი, რომელიც აღჭურვილი იქნა გამანაწილებელი ელექტრული ქსელების ისეთი ელემენტებით, როგორცაა კომუტაციის, აღრიცხვისა და გაზომვის საშუალებები. აგრეთვე უსაფრთხოების დაცვის საშუალებები.

აღნიშნული ფაქტი კარგი მაგალითია ბიზნესის და უნივერსიტეტის თანამშრომლობის. სასწავლო კლასი აახლოვებს სტუდენტებს რეალურ სამუშაო გარემოსთან, უვითარებს საწარმოო პრაქტიკის უნარ-ჩვევებს და ზრდის პირდაპირი დასაქმების შესაძლებლობას.

სასწავლო კლასის შექმნის იდეა და ინიციატივა ეკუთვნის სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიციის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფის საერთო მოსაზრებით ყველა რეკომენდაცია რჩება უცვლელი სახით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერა და შეფასება

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი. პროგრამა უზრუნველყოფს, ელექტრობის, ელექტრონიკისა და ელექტრომაგნეტიზმის ფუნდამენტური შესწავლის საფუძველზე, ზოგადი განათლების სპეციალისტების მომზადებასა და შესაბამისი უნარების განვითარებას საქმიანობის ისეთი ფართო სფეროებისათვის, როგორცაა ელექტროენერგეტიკის, ელექტრული და ელექტრონული ტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის სფეროები. კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ელექტროენერგეტიკული, ტელესაკომუნიკაციო სისტემებისა და ტექნიკური აღჭურვილობის, ბიოსამედიცინო ტექნიკისა და სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, ექსპლუატაცია და მართვა.

პროგრამა ფოკუსირებულია ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა ელექტროენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია, ბიოსამედიცინო ელექტრონიკა, ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოები და ითვალისწინებს საკვალიფიკაციო არჩევით კონცენტრაციებს სწავლების მეშვიდე სემესტრში. აღნიშნულ მიმართულებებს, ასევე გააჩნია შემდეგი სპეციფიკური მიზნები:

ელექტროენერგეტიკის მიმართულებით: მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია საკმარისი თეორიულიცოდნა ელექტროენერგეტიკული საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და ტექნიკური აღჭურვილობის ექსპლუატაციის განსახორციელებლად, დარგის ეკოლოგიური და ეკონომიკური ასპექტების პრაქტიკულ საქმიანობაში გასატარებლად.

ბიოსამედიცინო ელექტრონიკის მიმართულებით: მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებების სადიაგნოსტიკო, თერაპიული და ქირურგიული, ასევე პორტატული სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების მუშაობის პრინციპების თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში ექსპლუატაციისა და მომსახურების უნარი.

ტელეკომუნიკაციის მიმართულებით: მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც მიღწეული თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეუძლია სატელეკომუნიკაციო საშუალებების ექსპლუატაცია და მომსახურება დადგენილი მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვით.

ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მიმართულებით: მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება საკმარისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები სპეციალური დანიშნულების ელექტრული და ელექტრონული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციისა და მომსახურების, ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი დასკვნებისგაკეთებისათვის.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოზე დაყრდნობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (დამქირავებლები, კურსდამტავრებულები, სტუდენტები, აკადემიური პერსონალი) საჭიროებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრის კვალიფიკაციას, რაც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. იგი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისათვის, როგორცაა ელექტროენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია, სამედიცინო და საწარმოო დაწესებულებები, სადაც არსებობს მოთხოვნილება ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სპეციალისტების დასაქმებისათვის.

პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი), (დანართი 1)
- უნივერსიტეტის მისია
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=329&Itemid=288&lang=en
- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა (დანართი 7).

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია როგორც ყველა დაინტერესებული მხარის (კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, სტუდენტი, აკადემიური პერსონალი) საჭიროებების, ისე შრომის ბაზარზე. არსებული ძირითადი კომპანიების მოთხოვნებისა და პრობლემების გათვალისწინებით.

პროგრამის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო როგორც საერთაშორისო გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას, ისე ადგილობრივ პროფესიონალებთან შეხვედრებსა და განხილვებს. მნიშვნელოვანი საქმიანობა ამ მიმართულებით იქნა განხორციელებული სამუშაო ჯგუფის მიერ. ჩატარდა ყველა სამიზნე ჯგუფის გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებული იქნა პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისას. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, კვალიფიკაციის დონის (მე-6 დონე) აღმწერის მოთხოვნების მიხედვით და ფორმულირებულია შემდეგი სახით:

ცოდნა და გაცნობიერება

საბაკალავრო პროგრამის „ელექტრული ინჟინერია“ კურსდამთავრებული:

- ანალიზებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ელექტრული და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების, ტექნიკური საშუალებების მუშაობის პრინციპების შესახებ მიღებულ ცოდნას.
- საზღვრავს და კრიტიკულად აფასებს დარგის ძირითად ობიექტებს, მოვლენებსა და პროცესებს.

უნარი

- ახორციელებს დარგისათვის დამახასიათებელი საპროექტო სამუშაოებს, გეგმავს სასერვისო დასაინსტალაციო სამუშაოებს;
- ახორციელებს ძირითადი ტექნოლოგიური სისტემებისა და მოწყობილობების, ტექნიკური ობიექტების, დარგის შესაბამისი ელექტრული და ელექტრონული აპარატურის ექსპლუატაციასა დამომსახურებას;
- გეგმავს დარგის შესაბამის ტექნოლოგიურ პროცესებს;
- მონაწილეობს საწარმოო ობიექტების მუშაობის რეჟიმებისა და ძირითადი მახასიათებლების შერჩევასა და გაანგარიშებაში, მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში;
- ახორციელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური ან ტექნოლოგიური პრობლემის იდენტიფიკაციას, ფორმულირებას და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს უკვე ცნობილი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საზღვრავს საკუთარი პროფესიული ზრდის აუცილებლობასა და შესაძლებლობებს, და მოიძიებს შესაბამის ინფორმაციასა და რესურსებს შემდგომი პროფესიული ზრდის მიზნით.

სწავლის შედეგები ასევე ფორმულირებულია პროგრამის ოთხივე კონცენტრაციისათვის.

კერძოდ, ელექტროენერგეტიკის კონცენტრაციისათვის:

- ახორციელებს მონიტორინგს და ანალიზებს ელექტრული ენერჯის წარმოების, გადაცემისა და განაწილების ერთიან უწყვეტ პროცესს და უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპტიმალურ მართვას და მასში შემავალი ენერგეტიკული დანადგარების გამართულ ფუნქციონირებას.
- გაიანგარიშებს და პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს ელექტროენერგეტიკული ობიექტების ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების ელემენტებისა და სქემების, ელექტროენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმებსა და ძირითად საბაზო ენერგეტიკულ მახასიათებლებს.
- განსაზღვრავს და ანალიზებს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში წარმოქმნილ ავარიულ სიტუაციებს და სახავს მათი ლიკვიდაციის გზებს.
- კონტროლს აწესებს ელექტრული ენერჯის ხარისხზე და სახავს მისი განმსაზღვრელი

ძირითადი პარამეტრების (ძაბვა, სიხშირე) სახელმწიფო სტანდარტის ფარგლებში დაბრუნების (რეგულირების) ღონისძიებებს.

ტელეკომუნიკაციის კონცენტრაციისათვის:

- საზღვრავს და ახასიათებს ანალოგური და დისკრეტული შეტყობინების სისტემებისა და აპარატურის, მონაცემთა გადაცემისა და სატელეფონო კავშირის ქსელების, ელექტრონული მართვის კომპლექსების, მობილური კავშირის სისტემების თოერიული საფუძვლებისა და მოქმედების პრინციპებს.
- ახორციელებს ტელეკომუნიკაციის ქსელებში და ინფორმაციის დამუშავების მოწყობილობებსა და სისტემებში პროცესების მოდელირებას და პრაქტიკაში გამოიყენებს მათი ტექნიკური ექსპლუატაციის ალგორითმებს.
- ზომავს ტელეკომუნიკაციის ხელსაწყოების, მოწყობილობების, არხებისა და ტრაქტების მახასიათებლებს და ამუშავებს გაზომვის შედეგებს.

ბიოსამედიცინო ელექტრონიკის კონცენტრაციისათვის:

- საზღვრავს და კრიტიკულად აანალიზებს რადიოელექტრონულ კომპიუტერულ მოწყობილობებში გამოყენებული ძირითადი ანალოგური და ციფრული კვანძების ელექტრონულ და ფუნქციონალური სქემების მუშაობის პრინციპებს;
- აღწერს და განმარტავს მიკროპროცესორულ მოწყობილობათა ელექტრონული და სტრუქტურული სქემების, თანამედროვე სამედიცინო და ელექტროგამზომი ხელსაწყოებისა და მათი მუშაობის პრინციპებს;
- იყენებს სადიაგნოსტიკო, თერაპიული და ქირურგიული აპარატურის აუდიო-ვიდეო და კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე პორტატულ სამედიცინო აპარატურას და ახორციელებს მიღებული მონაცემების დამუშავებას შემდგომი გამოყენებისათვის.

ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა კონცენტრაციისათვის:

- ახორციელებს სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მოქმედების პრინციპების დახასიათებასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებას;
- უსადაგებს სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოებს კონკრეტულ საჭიროებებს და გამოიყენებს მათ დანიშნულებისამებრ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

1. სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, რისთვისაც გამოიყენება დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვების შედეგები და რეკომენდაციები, ასევე დასაქმების ბაზრის და დარგის განვითარების ტენდენციების ანალიზი. მუდმივად ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგი
2. სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობები, რაც მოიცავს: სასწავლო კურსების შესწავლას და შესაბამისი პრაქტიკული უნარების და ცოდნის ფორმირებას, პრაქტიკებს, დავალებებს და სხვა სახის აქტივობებს. ამ მიზნით შედგენილი არის კურიკულუმის რუკა, რომელიც აკავშირებს სასწავლო და სხვა აქტივობებს სწავლის შედეგებთან.
3. შეფასება: შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირ მტკიცებულებად გამოიყენება: ტესტები, პორტფოლიოები, დავალებები, გამოცდების შედეგები, სავლე გამოცდილება, სხვა შეფასებები.

სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის არაპირდაპირი მტკიცებულებებია: დასაქმების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, გამოკითხვები და კითხვარები, ფოკუს ჯგუფის ინტერვიუები.

შედეგის მიღწევის დონის მტკიცებულება მოიცავს იმ გამოცდების, დავალებების და აქტივობების კომპონენტების შეფასების ქულებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ სწავლის შედეგს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება შეფასების სქემის მიხედვით, რომელიც მოიცავს შეფასების რუბრიკას და სამიზნე ნიშნულებს თითოეულის სწავლის შედეგისათვის.

4. შეფასების შედეგების გამოყენება. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის, კერძოდ მათი ანალიზის საფუძველზე ხდება: ცვლილება სასწავლო კურსის შინაარსსა და მოთხოვნებში, კურსის სტრუქტურასა და წინაპირობებში, სწავლის შედეგების ცვლილება, შეფასების გეგმის ცვლილება, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება დაგეგმვისასა და რესურსების მოძიებისას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, რის

საფუძველზე შედგება შესაბამისი ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია არის რა შედეგები მივიღეთ, რას ნიშნავს მიღებული მაჩვენებლები და რა უნდა გაკეთდეს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) (დანართი 1)
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 8)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: სრული, საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს მას სტუდენტის სტატუსს, ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში.

სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლ ობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საბაკალავრო პროგრამაზე „ელექტრული ინჟინერია“ ასევე შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა.

საბაკალავრო პროგრამაზე „ელექტრული ინჟინერია“ დასაშვები წინაპირობები და პროცედურები ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის, ინფორმაცია არის საჯარო და გამჭვირვალე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მისაღები კონტიგენტისა და მობილობით მისაღების სტუდენტების ადგილების განსაზღვრის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები;
- დადგენილება №12 (17/18) - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების
- წესის დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და პერსპექტიული განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურა, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, აგებულია ცალკეული სასწავლო კურსების ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით.

პროგრამა მოიცავს: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 160 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევით საგნებს-20 კრედიტი, არჩევით კონცენტრაციებს - 30 კრედიტი, თავისუფალ კომპონენტს- 30 კრედიტი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, განსაკუთრებით მინდა გამოვყო მეოთხე კონცენტრაცია და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა შესაბამისი წინსვლისა განვითარების პერსპექტივით. ამ კონცენტრაციაში ისევე როგორც წინა სამში სტანდარტებთან შესაბამისობა დაცულია, მე მხოლოდ ვისურვებდი ამ კონცენტრაციაში მეტ ჩართულობას პედაგოგიური და სტუდენტური პერსონალიებისა „ინტეგრაციის“(INTEGRAF) მიერ მოწყობილ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, რომელიც, ჩემი ინფორმაციით, ტარდება თითქმის ყოველ წელს, სადაც უახლოესი დანადგარები და ტექნოლოგიები განიხილება, მეტად საჭირო ამ კონცენტრაციისათვის. აღნიშნული გაძლიერებული და პერსპექტიული ელექტრონიკული და ელექტრონული ხელსაწყოების კონცენტრაცია მომავალში განაპირობებს სახელმწიფო უსაფრთხოების კიდევ უფრო გაძლიერებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- ინტერვიუს შედეგები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, ქუთაისი, დადგენილება 49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ.);

<ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 1).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <p>მეოთხე კონცენტრაციის "ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოები" სტუდენტების და პერსონალის უფრო მეტი ჩართულობა „ინტეგრატის“(INTEGRAT) მიერ მოწყობილ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <p>პროგრამის სასწავლო კურსები შემუშავებულია აკრედიტაციის მოთხოვნების და აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილი წესების მიხედვით. სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები. სასწავლო კურსები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და უზრუნველყოფს თვითოეული სტუდენტის სასურველ შედეგზე გასვლას.</p> <p>მოყვანილ სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ქართულენოვანია, თუმცა საქართველოს ბაზარზე უცხოელი ინვესტორების აქტიურობის გამო სასურველია დამხმარე ლიტერატურაში მიეთითოს სტუდენტებს ინგლისურენოვანი ანალოგი.</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 1);
- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“, აწსუ 2018წლის 9 თებერვალი, №49 (17/18) (დანართი 8);
- აწსუ ბიბლიოთეკა -
- http://www.atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=508&Itemid=762&language=en

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საქართველოს ბაზარზე უცხოელი ინვესტორების აქტიურობის გამო სასურველია დამხმარე ლიტერატურაში მიეთითოს სტუდენტებს ინგლისურენოვანი ანალოგი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ საბაკალავრო პროგრამის „ელექტრული ინჟინერია“ სტუდენტები. საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ სხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში.

პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ აწსუ-ს მიერ გამართულ სამეცნიერო პიკნიკებში, სადაც წარმოადგენენ საკუთარი ხელით დამზადებულ თვალსაჩინო ნაკეთობებს, ასევე განმარტებებს აძლევენ სხვადასხვა დაინტერესებულ პირებს.

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლების შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა უნარების განვითარებას, რაც გამოიკვეთა ექსპერტთა ჯგუფისა და პოტენციური

დამსაქმებლების შეხვედრაზე, გამოიკვეთა ასევე დამსაქმებლების სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური სახის თანამშრომლობა პროგრამის განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი მასალა (უნივერსიტეტის ვებ-გვერდი);
- ინტერვიუს შედეგები;
- ინტერნერ რესურსები, სოციალური ქსელი, ფოტოსურათები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტთა მეტი ჩართულობა საერთაშორისო და გაცვლით პროგრამებში

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლება ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სემესტრის დასაწყისში სტუდენტებისთვის ნათელი ხდება საგნის შეწავლი მიზნები და ამოცანები და ასევე მიღწეული შედეგების შესახებ.

გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პრაქტიკული, ლაბორატორიული და საკურსო სამუშაოების ჩატარება სასწავლო წლის განმავლობაში, რითაც ღრმავდება და მტკიცდება სტუდენტის მიერ თეორიულ ლექციებზე მიღებული ცოდნა.

პროგრამის განვითარებისთვის, მომავალში, შესაძლებელია რიგ შემთხვევებში საკურსო სამუშაოებზე სტუდენტთა ჯგუფური მონაწილეობის პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 1);

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დანართი 3).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს” (2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით).</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.</p> <p>შეფასების სისტემა:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება.</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებითი თვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას; ბ) დასკვნით შეფასებას;

დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 15 ქულას.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

აწსუ-ში ჩატარებული სამუშაოები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი მზადაა ნაბიჯ-ნაბიჯ, PDCA ციკლური პროცესის გამოყენებით გააუმჯობესოს სტუდენტის ცოდნის შეფასებაში გამოყენებული მიდგომები და უზრუნველყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამები ყოველწლიურად განიცდის განახლებას და ყველა ცვლილება აისახება წლიურ თვითშეფასების ანგარიშში. ცვლილებების მნიშვნელოვანი წილი მოდის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებზე.

2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამებში აისახა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესისა და შეფასების საკითხებზე მიღებული რეგულაციები. ხუს-ის მიერ წარდგენილი ანალიზის შესაბამისად, უნივერსიტეტი გადავიდა ერთ შუალედური გამოცდაზე, ხოლო შუალედური შეფასების ზღვრულ ქულად განისაზღვრა 18-25 ქულა (პროგრამების მიხედვით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;
- საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 1);
- ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ამსახველი მასალა (დანართი 11).
- www.atsu.edu.ge
- www.facebook.com/atsuniversity აწსუ ენერჯეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან, ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან.

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ „ელექტრული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათში, ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, თუმცა სტუდენტები მობილობას ფაქტობრივად არ იყენებენ. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტები

ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით,

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია დეკანის, მისი მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის საკონტაქტო მონაცემები (მობილური, ელექტრონული ფოსტის მისამართი). სტუდენტებს ინდივიდუალური კონსულტაციების მიღება შეუძლიათ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა მათთვის უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტის მიერ შედგენილი აკადემიურ პერსონალთან [კონსულტაციების განრიგი](#) [დეპარტამენტების მიხედვით](#) განთავსებული იქნება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

ინტერვიუს დროს წარმოდგენილი სტუდენტებიდან ზოგი არაა დასაქმებული, თუმცა სტუდენტებს აქვთ კარიერული მხარდაჭერა უნივერსიტეტის მხრიდან: სტუდენტები ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას იღებენ ელ-ფოსტის მეშვეობით, აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს რეკომენდაციას სხვადასვა კომპანიებში სტაჟირების გასაველეად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დებულება.
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ვებ-გვერდი.
- „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის“ 2017 წლის 11 ოქტომბრის №12 (17.18) დადგენილება .
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიურ პერსონალის სტუდენტებთან [კონსულტაციების განრიგი](#) [დეპარტამენტების მიხედვით](#) და განათავსოს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული

პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „ელექტრული ინჟინერია“ ხორციელდება უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის მიერ.

საბაკალავრო პროგრამის „ელექტრული ინჟინერია“ განხორციელებაში ჩართული იქნება როგორც ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტის, ისე უნივერსიტეტის სხვა დეპარტამენტების პროფესორ-მასწავლებლები, აგრეთვე მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები. კერძოდ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 4 პროფესორი (მათ შორის ერთი ემერეტუსი), 24 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და უნივერსიტეტის ენათა ცენტრის მასწავლებლები, ასევე 7 მოწვეული სპეციალისტი (ხელშეკრულებითა და საათობრივი ანაზღაურებით). უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელ ძირითად აკადემიურ პერსონალს აქვს სწავლების 20-40 წლიანი გამოცდილება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტში გაიზარდა დარგში სამეცნიერო ხარისხის მქონე მარალკვალიფიციური კარდების რაოდენობა. 2012-2017 წლებში სადოქტორო დისერტაციები დაიცვა 7 ახალგაზრდა მეცნიერმა, რომლებიც ასევე ჩართული არიან წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესორ ომარ ზივზივამეს გააჩნია უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ორმოცწლიანი გამოცდილება, თავად აქტიურად არის ჩართული როგორც პროგრამის ადმინისტრირებაში, ისე სასწავლო პროცესის განხორციელებაში. პროფესორი ომარ ზივზივამე არის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ენერგეტიკის სფეროში, ის არჩეულია საქართველოს ენერგეტიკის ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად და საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად. ის არის არჩეული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს წევრად. სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში მიღწევების გამო დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

უნივერსიტეტში მუშაობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალი და კვალიფიციური დამხმარე პერსონალი. ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიაში, კომპიუტერული ცენტრებში, დეკანატში მომუშავე დამხმარე პერსონალის საქმიანობა და ურთიერთდამოკიდებულება მიმართულია სასწავლო პროცესის მიზნების შესრულებისაკენ და შედეგების გაუმჯობესებისაკენ. დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი სამსახურების შესაბამისი დებულებებით გაწერილია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მისიის შესაბამისად.

ინფორმაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.atsu.edu.ge.

უშუალოდ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტს, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, გააჩნია კვალიფიციური დამხმარე პერსონალი - 4 სამტატო ერთეული და ერთი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ დეპარტამენტის ლაბორატორიების გამართულ მუშაობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელის პერსონალური ინფორმაცია (დანართი 4);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია (დანართი 3);
- განმახორციელებელი პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები (დანართი 3);

<ul style="list-style-type: none"> ○ ფაკულტეტის სტრუქტურა (დანართი 15); ○ ინტერვიუს შედეგები; ○ დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროფილი (დანართი 15)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პერსონალის პროფესიულ განვითარებას, რისთვისაც გამოიყენება არსებული და ხელმისაწვდომი შესაძლებლობები. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაუმჯობესების მიზნით აქტიურად გამოიყენება ტრენინგებსა და სემინარებში, ვორკშოპებში მონაწილეობა აკადემიური პერსონალის მიერ. აღნიშნული ინფორმაცია ასახულია აკადემიური პერსონალის პირად მონაცემებში.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი, რომელიც წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის წამყვანი განმახორციელებელია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმოს და ხელს უწყობს საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობას, რაც დეპარტამენტის პერსონალის პროფესიული განვითარების ქმედით საშუალებას წარმოადგენს. ამ მიზნით აღსანიშნავია USAID და MCA-Georgia მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებიც ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტში განხორციელდა 2012-2013, 2017 და 2018 წლებში.</p> <p>2017-2018 წლებში ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტში გაიმართა შემდეგი ტრენინგები და ვორკშოპები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტში გაიმართა შემდეგი ტრენინგები და

<p>ვორქშოპები: ვორქშოპი მზის ენერგეტიკის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვე გამოცდილების შესახებ (2017 წლის ნოემბერი), რომლის წამყვანი მომხსენებელი იყო მინიაპოლისის უნივერსიტეტის ემერეტუს პროფესორი ჰ. ნეკადი (მინესოტა, აშშ). ვორქშოპის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, ისე სხვადასხვადაინტერესებულმა პირებმა ენერგო</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპანიებიდან და სასწავლო დაწესებულებებიდან. ვორქშოპში აქტიურად იყო ჩართული ასევე საბაკალავრო პროგრამის „ელექტრული ინჟინერია“ განმახორციელებელი პერსონალი. • ორი პროფესიული ტრენინგი ენერგოაუდიტისა და მზის ენერჯის სისტემების ექსპლუატაციის საკითხებზე, რომელთა მუშაობაში ასევე მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა. • 2018 წლის ნოემბერში პროფესორ ჰამიდ ნეჟადის (აშშ) მიერ ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტში ჩატარდა ვორქშოპი მდგრადი ენერგეტიკის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ. ვორქშოპის მონაწილეები იყვნენ როგორც დეპარტამენტის თანამშრომლები, ასევე სხვა უნივერსიტეტებისა და დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. <p>2013-2018 წლებში ჩატარებულია 5 სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია წარმოდგენილი იქნა 80-ზე მეტი სამეცნიერო მოსხენება. 2020 წლიდან პარტნიორული ურთიერთობები განვითარდა ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტთან. ასევე აღსანიშნავია 2019 და 2020 წლებში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული ტრენინგები კვალიფიკაციის ჩარჩოს და სწავლის შედეგების საკითხებზე, რომელთა აქტიური მონაწილეები იყვნენ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებასა და შემუშავებაში ჩართული პერსონალი. უნივერსიტეტში მუშაობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალი და კვალიფიციური დამხმარე პერსონალი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია (დანართი 3); ○ საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის კვლევითი პროფილი (დანართი 15); ○ დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროფილი (დანართი 15); ○ საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხუს-ის ანგარიში (დანართი 14). ○ ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ამსახველი მასალა (დანართი 11).
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საბაკალავრო პროგრამის „ელექტრული ინჟინერია“ სასწავლო პროცესში გამოიყენება უახლესი ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომელიც შეძენილი იქნა 2013-2017 წლებში. კერძოდ, ეს მოწყობილობაა:

- ერთმანქანიანი ელექტრული სისტემის მოდელი (სტენდური შესრულება, კომპიუტერული ვერსია) – 2013 წ.,
- სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის კომპლექტი "ელექტროტექნიკა
- სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის კომპლექტი "მზის ფოტოელექტრული ელექტროსადგურის მოდელი (სტენდური შესრულება) – 2017 წ.",
- სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის კომპლექტი "ქარის ელექტროგენერატორის ნატურალური მოდელი (სამაგიდო შესრულება)"- 2017 წ.,

2017 წელს ასევე შეძენილი იქნა მოწყობილობა მზის მინი ელექტროსადგურისათვის, რომელიც გამოიყენება როგორც სასწავლო დანიშნულებით, ისე ელექტროენერჯის გამომუშავება-მიწოდებისათვის დეპარტამენტის საჭიროებების შესაბამისად.

აღსანიშნავია სს „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ მიერ „ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის“ დეპარტამენტში 2020 წელს შეიქმნა სასწავლო კლასი, რომელიც აღჭურვილი იქნა გამანაწილებელი ელექტრული ქსელების ისეთი ელემენტებით, როგორც კომუტაციის, აღრიცხვისა და გაზომვის საშუალებები, აგრეთვე უსაფრთხოების დაცვის საშუალებები. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ მოსაწესრიგებელია ლაბორატორიები ორი კონცენტრაციის მიმართულებით კერძოდ: ბიოსამედიცინო ელექტრონიკის და ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1);
- აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის VII, IX კორპუსებში არსებული სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი ფონდი;
- ინტერვიუს შედეგები;
- კომპიუტერული ცენტრები.

რეკომენდაციები:

მწყობრში მოვიდეს ლაბორატორიები ბიოსამედიცინო ელექტრონიკის და ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას განახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები - მასალებისათვის, პროგრამაში ჩართულ სხვა ორგანიზაციებში. უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი, რომლის მოცულობა 2014 წლიდან 2019 წლამდე ყოველწლიურად მზარდია. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან გამოიკეთა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რასაც უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“, რომელიც მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

I. დაგეგმე - ეყრდნობა საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.

II. განახორციელე -ეყრდნობა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პერიოდულობა. ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ სტუდენტთა და პედაგოგთა გამოკითხვები წარმოებს ყოველი სემესტრის ბოლოს, ხოლო დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ორ წელიწადში ერთხელ. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად უსდ-ს მხრიდან არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი გამოკითხვები და მათი ანალიზი. გარდა ამისა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იყო

მხოლოდ 2015 და 2016 წლის ანგარიშები, რაც წარმოშობს ეჭვს, რომ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები სისტემატურ ხასიათს არ ატარებს.

სწორედ ამიტომ რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი წლების განმავლობაში უწყვეტად ხორციელდებოდეს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდანაც შემაჯამებელი წლიური ანგარიშები ყოველწლიურად იქნას წარმოდგენილი. გარდა ამისა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო შესაბამისი წესების დაცვით დამტკიცებული გამოკითხვის ფორმები, რომლის მიხედვითაც წარმოებს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა და მონაცემთა შეგროვება.

III. შეამოწმე - ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება: ა) საგანმანათლებლო პროგრამები ბ) სასწავლო კურსები/კომპონენტები გ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობა დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალი ე) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

IV. განავითარე - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თუმცა ნაკლებად იკვეთება რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის ეტაპი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასების პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, თუმცა სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, ანალიზის წარმოების შემდეგ, მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული ან დაგეგმილი რეაგირებებიც. შესაბამისად, სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც. უსდ-მ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა შეიმუშავოს რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არსებული მექანიზმებისა, ინსტიტუციამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ამ კუთხით მუშაობა. მნიშვნელოვანია ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის არეალის გაფართოება, რაც თვითშეფასების ანგარიშიდან გამომდინარე უნივერსიტეტს ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარედ აქვს მითითებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა. კვლევის ანალიზი საშუალებას მისცემს უსდ-ს შეისწავლოს

უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გადინების მიზეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, ხოლო მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვა დაეხმარება ინსტიტუციას შეისწავლოს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის არჩევის ფაქტორები, მოლოდინები, შეაფასოს უნივერსიტეტის იმიჯი, ცნობადობა სამიზნე აუდიტორიაში. 2018 წლის იანვარში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურის იმპლემენტაცია. ინსტიტუციის მხრიდან შემუშავდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა სტრუქტურული ერთეულის ეფექტურად ჩართვას, რაც შემდგომში, თავის მხრივ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და შემდგომ განვითარებას. თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესით გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“.
- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები;
- აწსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- გამოკითხვის ფორმები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი წლების განმავლობაში უწყვეტად ხორციელდებოდეს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდანაც შემაჯამებელი წლიური ანგარიშები ყოველწლიურად იქნას წარმოდგენილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სიღრმისეული ანალიზის წარმოება და მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, ერთიანი რეაგირების ანგარიშის წარმოდგენის გზით
- სასურველია მოხდეს ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის არეალის გაფართოება
- სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, რათა დააიდენტიფიციროს რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილია გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება. ამ მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საქართველოში მოქმედ აკრედიტირებულ უნივერსიტეტებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. ამ პროცესში მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით კი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, დახვეწას და შესაბამისად, პროგრამებით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.

პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღო გარე შემფასებელმა (ექსპერტმა), რომელიც არ არის შესავასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ არის დაინტერესებული მხარე, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნია, როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

უნივერსიტეტის გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ გარე შეფასების შედეგად გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა საბაკალავრო პროგრამის „ელექტრული ინჟინერია“ შემუშავების პროცესში, რის შედეგად პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი კიდევ უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა.

მოქმედმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წლის 16 სექტემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #34, 2011.16.09). საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

უნივერსიტეტი გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა ხორციელდება უსდ-ს მიერ დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას. უნივერსიტეტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პერიოდულად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას

<p>თვითშეფასების ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საბაკალავრო პროგრამა
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>როგორც წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშითა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით. აღნიშნული პროცედურა გამოიყენება აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის.</p> <p>შიდა შეფასება მიმდინარეობს პერმანენტულად, სხვადასხვა მიდგომებით:</p> <p>ა) პროგრამის მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები პერიოდულად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებებისა და დამატებების სახით.</p> <p>ბ) ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი,</p>

კურსდამთავრებული) გამოკითხვები.

სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ხდება საბაკალავრო პროგრამის შედეგებისა და შემდგომი განვითარების საჭიროებების შესახებ კვლევა. რისთვისაც გამოიყენება როგორც გამოკითხვა სპეციალურად შექმნილი კითხვარების მიხედვით, ასევე ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები და განხილვები. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად უსდ-ს მხრიდან არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი გამოკითხვები და მათი ანალიზი. გარდა ამისა ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იყო მხოლოდ 2015 და 2016 წლის ანგარიშები, რაც მიანიშნებს, რომ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები პერმანენტულ ხასიათს არ ატარებს.

გ) ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი, რომელსაც ახორციელებს დეპარტამენტი, რაც იძლევა სხვადასხვა საგნების სწავლების ხარისხის შეფასების, ხარვეზების გამოვლენისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას საჭიროებების შემთხვევაში.

აღნიშნული პროცესის შედეგების ანალიზიც არ იყო წარმოდგენილი ინსტიტუციის მხრიდან, რაც დამატებით ეჭვს იწვევს, ურთიერთდასწრების პროცესი ნამდვილად ხდება თუ არა. სწორედ ამ მექანიზმებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა პროგრამის ფარგლებში ცვლილებების განხორციელება. კერძოდ:

- დაიხვეწა სასწავლო გეგმა და უფრო ქმედითი გახდა კრედიტების განაწილების სქემა;
- სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის დახვეწა/განვითარება და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებისათვის შუალედური შეფასებების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა ჯამურად არანაკლებ 18 ქულით;
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრა 15 ქულით;
- შეიცვალა დამატებითი გამოცდის დანიშვნის ვადა და იგი განისაზღვრა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღით;
- შემუშავდა სტუდენტთა ცოდნის შეფასების რუბრიკები, რაც აისახა ყველა საგნის სილაბუსში.

დამატებით უნდა ითქვას, რომ სასურველია ინსტიტუციაში დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. მსგავსი შეფასება უზურუნველყოფს კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებას, ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

ინსტიტუციის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი ბენჩმარკინგი, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. თანდართული იყო მხოლოდ იმ უსდ-ების პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც მსგავს პროგრამას ახლორციელებს, მაგრამ არ იყო გაკეთებული დადარება და შესაბამისი ანალიზი. ამიტომაც, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტები

<ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდებულია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია ინსტიტუციაში დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ელექტრული ინჟინერია“ ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

შალვა კვიციანი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სიმონ ნემსაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პატარაია

ნ. პატარაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ლაშა ლალიაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა